აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრი ორგანიზაციების

განცხადება

საზოგადოებრივი მაუწყებლის გარშემო მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით

ძლიერი, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი საზოგადოებრივი მაუწყებელი ქვეყანაში თავისუფლების და დემოკრატიული განვითარების ერთ-ერთი მთავარი გარანტია. აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრ ორგანიზაციებს მიგვაჩნია, რომ უკანასკნელ პერიოდში საზოგადოებრივ მაუწყებელში განვითარებული მოვლენები საფრთხეს უქმნის ამ ღირებულებებსა და ფასეულობებს. მხოლოდ ინფორმირებული და მიმდინარე მოვლენებზე მკაფიო წარმოდგენის მქონე მოქალაქეთა საზოგადოება იქნება საქართველოს პროგრესული და დასავლურ ღირებულებებზე დაფუძნებული წინსვლის საწინდარი, რაშიც საზოგადოებრივ მაუწყებელს მნიშვნელოვანი მისია აკისრია.

პლატფორმას მიაჩნია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის მიერ გაჟღერებული გეგმა გამოიწვევს საზოგადოებრივი მაუწყებლის სრულ ან ნაწილობრივ პარალიზებას. აუცილებელია, აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების საინფორმაციო ბადეში განთავსება არხის არა მარტო სამართლებრივი, არამედ სოციალურ-პოლიტიკური ვალდებულებაა და ასევე - საზოგადოებრივი მაუწყებლის სტრატეგიით განსაზღვრული პრიორიტეტების გამოძახილი. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისა და საკონსტიტუციო რეფორმის წელს საზოგადოებრივ მაუწყებელზე მიუღებელია იმგვარი რეორგანიზაციის დაწყება, რამაც შესაძლებელია, შეზღუდოს საჯარო დებატები და დისკუსია მიმდინარე უმნიშვნელოვანეს თემებზე.

არასწორად მიგვაჩნია საზოგადობრივი მაუწყებლის შეფასების კრიტერიუმად მხოლოდ სატელევიზიო რეიტინგების გამოყენება და ამის საფუძველზე ცალკეული გადაცემების დახურვა თუ შეჩერება. მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებას ჰქონდეს ინფორმაცია იმის შესახებ როგორ პროგრამულ ბადეს გვთავაზობს ახალი მენეჯმენტი და რამდენად თავსებადია ეს ხედვა საზოგადოებრივი მაუწყებლის როგორც საჯარო სიკეთის იდეასთან. აგრეთვე, გასათვალისწინებელია, რომ რეორგანიზაციის გეგმის პროექტის გამოცხადებამ თანამშრომელთა შრომითი უფლებების დარღვევის სერიოზული საფრთხეები წარმოშვა. აღსანიშნავია, რომ მაუწყებლის ადმინისტრაციასა და სამეთვალყურეო საბჭოს შორის რეფორმის შესახებ დისკუსიის პროცესში სათანადო ყურადღება არ ექცევა შრომითი კოლექტივის მოსაზრებებს და არც დასაქმებულთა წარმომადგენლობით ორგანიზაციებთან მიმდინარეობს შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული სოციალური დიალოგი.

პლატფორმის წევრი ორგანიზაციები მოუწოდებენ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს, იხელმძღვანელოს საზოგადოებრივი და სამართლებრივი ვალდებულებებით და არ დაუშვას საზოგადოებრივი მაუწყებლის პრაქტიკული გაჩერება. საკითხი არ უნდა იდგეს რეფორმასა და სამაუწყებლო ბადის ქონას შორის, არამედ მაუწყებლობა უნდა გაგრძელდეს აუცილებელი რეფორმების გატარების პარალელურად.

ხელმომწერი ორგანიზაციები:

1. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
2. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
3. ევროპის ფონდი
4. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
5. ლიბერალური აკადემია თბილისი
6. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
7. ფონდი ”ღია საზოგადოება -საქართველო”
8. საქართველოს ენერგორესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
9. ახალგაზრდული ალტერნატივა
10. საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია ”საქართველოს ჩაი”
11. სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი
12. საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
13. ფონდი "კავკასიის ეკოლოგია"
14. საერთო სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველო
15. ადამიანის უფლებათა ცენტრი
16. ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის
17. სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი "თაობათა დიალოგი"
18. "ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი"
19. მეწარმე ქალთა ფონდი
20. ადგილობრივი დემოკრატის სააგენტო საქართველო
21. სკოლა-ოჯახი-საზოგადოება
22. ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი
23. საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია
24. კულტურულ ჰუმანიტარული ფონდი
25. იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი "სპექტრი"
26. სათემო ფონდი „ადგილის დედა“
27. საქართველოს საერთაშორისო განვითარების სააგენტო
28. ასოციაცია „მერკური“
29. მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
30. „კოალიცია შინმოვლა საქართველოში“
31. ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია
32. ასოციაცია „ქართლოსი“
33. „ევროკავშირი–საქართველოს ბიზნესაბჭო“
34. საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი
35. კავკასიური სახლი
36. რეპატრიანტთა კავშირი

37. ასოციაცია გადავარჩინოთ მომავალი თაობა
38. ასოციაცია „ტოლერანტი“
39. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი
40. ასოციაცია"ქალი და ბიზნესი"
41. ენერგოეფექტურობის ფონდი
42. რკინიგზელთა ახალი პროფესიული კავშირი
43. ასოციაცია „თანხმობა“
44. საერთაშორისო ბიზნესის განვითარების და ინვესტიციათა ხელშეწყობის ცენტრი
45. ასოციაცია "იმედი" დევნილ ქალთა მოძრაობა მშვიდობისათვის
46. ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო
47. დიდი ბრიტანეთის საქველმოქმედო ორგანიზაცია ასოციაცია „OXFAM” – ის საქართველოს წარმომადგენლობა
48. წამების, ძალადობისა და გამოხატული სტრესული ზემოქმედების მსხვერპლთა ფსიქო - რეაბილიტაციის საერთაშორისო ცენტრი “ემპათია“
49. ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი
50. ადამიანის უფლებათა სახლი
51. ქალთა პოლიტიკური რესურს ცენტრი
52. ენერგოეფექტურობის ცენტრი
53. ასოციაცია „ათინათი“